

ქართლის მეცნიერება

უცხოება

№12
922




საქართველოს
საპატირიარქოს
პრესცენტრის
ყოველკვირეული
გამოცემა

28 მარტი - 3 აპრილი 2019 წ. გამოიცამა 1999 წლის 8 იანვრიდან
ვასი 70 თეოტი

✚ პატირიარქის ქადაგებაში

✚ „თანამაღლოვა ადამიანი
ვილტუალური სამყაროს
ფუნდი იქცა“

გვესაუბრება
მღვდელი
დავით
მექვაბიშვილი



✚ ჯვართაყვანისცემა

✚ გვიანი ანტიკური ხანის
ნეოპლატონური ტრადიცია
შუა საუკუნეების
საქართვალოში

✚ მაგისტრის დიპლომების
გადაცემის საზოგოვრო ცერემონია

✚ „...გვიყიდვენ ჩუან ჳან ღმრთისა
სისხლითა შანითა
ყოვლისაგანვა თასხლისა და
ენისა და ერთა...“

✚ დევანოზი
გაპრიელ პარნაპიშვილი



სამარტინ
ქართველი,
თუ მომ
ქართველი



✚ გართიანება
საქართველოს
„გემოვანი“ და
პური „მზათამზა“

გვიანი ანტიკური ხანის ნეოპლატონური ტრადიცია

შუა საუკუნეების საქართველოში

ნაცილი მართა - ამონიოს ერმისი

შუა საუკუნეების ქართული აზროვნების კონტექსტში დიდ მნიშვნელობას იძენს ნეოპლატონიზმის ალექსანდრიული სკოლა და მისი გავლენა ქართული ფილოსოფიის ჩამოყალიბების პროცესზე. XII საუკუნეში უცნობმა ქართველმა ავტორმა ძველი ბერძნულიდან ძველქართულ ენაზე თარგმნა ამონიოს ერმისის (დაახლ. 440-517 წწ.) კომენტარები არისტოტელეს ნაშრომზე „კატეგორიები“ და პორფირიოსის ნაშრომზე „ისაგოგე“. ამ თარგმანის უძველესი ხელნაწერი XIII საუკუნით თარიღდება. დიდი ხანია, რაც ქართულ მეცნიერებაში ცხარე დისკუსია არის იმის შესახებ, თუ ვინ იყო მთარგმნელი გვიანი ანტიკური ხანის ამ ნეოპლატონური ნაშრომებისა. მკვლევართა ერთი ჯგუფი (პ. იოსელიანი, კ. კეკელიძე) იმ აზრს ავითარებს, რომ ამ ტექსტების მთარგმნელი იოანე ტარიჭისძე (XII ს.) უნდა იყოს, ხოლო მკვლევართა მეორე ჯგუფი (ს. გორგაძე, ი. ლოლაძვილი) კი ფიქრობს, რომ ეს ორი ტექსტიც იოანე პეტრიწის უნდა ეთარგმნა.

მაია რათავას საფუძვლიანი გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ამ ნაშრომთა მთარგმ-

ნელი იოანე პეტრიწი ვერ იქნება. თუმცა, ამ ორი ტექსტის ანონიმი მთარგმნელი, სავარაუდოდ, პეტრიწინის სკოლის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რადგან ამ სკოლის მთარგმნელობითი ტექნიკის მსგავსი მიდგომები შეინიშნება ამონიოს ერმისის ზემოთ დასახელებული ნაშრომების ქართულ თარგმანებში.

ამონიოს ერმისის ამ ქართული თარგმანების შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ მათ დიდი წვლილი შეიტანეს შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ჩამოყალიბების პროცესში. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამონიოს ერმისმა თავისი ამ ორი ტექსტით დიდი როლი ითამაშა, ზოგადად, ქართულ კულტურაში; იგი საუკუნეების მანძილზე გვიანი ანტიკური ხანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოაზროვნედ ითვლებოდა.

ამონიოს ერმისი პორფირიოსის „ისაგოგეს“ კომენტარის წინათქმაში განიხილავს ფილოსოფიის ექვს ცნობილ განსაზღვრებას და მის წყაროებს (პითაგორა, პლატონი და არისტოტელე). მისი აზრით, ამ განსაზღვრებათა მიზანი ფილოსოფიის სპეციფიკური ბუნების გარკვევა და, ამ-

დენად, მისი საკუთარი საგნის დადგენაა: ფილო-სოფიას, კერძო მეცნიერებებისაგან განსხვავებით, იმის პრეზენტაცია აქვს, რომ ის ყოფიერთა შესახებ ზოგად და უცილებელ ცოდნას გვაწვდის. ეს ხედვა უაღრესად ღირებული აღმოჩნდა უფრო გვიანდელი ფილოსოფიისთვისაც.

ამ კონტექსტში თავდაპირველად სომხური წარმოშობის ფილოსოფოსს - დავით უძლეველს (VI ს.) - უნდა შევეხოთ. დავითი ამონიოსის სკოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი იყო, რომელიც ოლიმპიოდორე უმცროსს დაემონაფა და შემდეგ არისტოტელეს თხზულებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომენტატორი გახდა. დავითი ხშირად ამონიოს ერმისის კონცეფციებს მიჰყვება და დიდად არის კიდეც დავალებული მისაგან. შესაძლებელია ამონიოს ერმისის აზროვნების სომხური რეცეფციის შესახებაც კი ვისაუბროთ, რადგან დავით უძლეველის ნაშრომები არა მარტო ძველ ბერძნულ ენაზე, არამედ ძველ სომხურ ენაზეცაა (ძველი სომხური თარგმანების მეშვეობით) შემორჩენილი.

დავით უძლეველის მთავარ ნაშრომად ითვლება მისი „ფილოსოფიის განსაზღვრებანი“, რომელიც ძველ ბერძნულ ენაზე შეიქმნა. შემორჩენილია, ასევე, ამ ნაშრომის თარგმანი ძველ სომხურ ენაზე. XVIII საუკუნეში ანტონ ბაგრატიონმა და მისი სკოლის წარმომადგენლებმა ეს ნაშრომი ძველი სომხური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნეს. ამ სახით ამონიოს ერმისის სკოლაში შემუშავებული დაყოფა ფილოსოფიისა და ფილოსოფიის განსაზღვრებანი ახალი დროის ქართულ ფილოსოფურ აზროვნებაშიც გავრცელდა და სათანადო ყურადღებაც მიიპყრო. ქართული ფილოსოფიის განვითარების პროცესში ამონიოს ერმისის ეს განსაზღვრებანი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული ფილოსოფიის ტრადიციაში კი ეს ექვსი განსაზღვრება უპირატესად იოანე დამასკელის (675-749 წწ.) თარგმანების მეშვეობით გავრცელდა. ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში ეს განსაზღვრებანი საყოველთაოდ იყო აღიარებული; უფრო მეტიც, ეს ექვსი განთქმული განსაზღვრება შუა საუკუნეებსა და ახალ დროში გავრცელებული ფილოსოფიის გაების საფუძველს წარმოადგენდა. ქართულ ფილოსოფიაში მათი დიდი მნიშვნელობიდან და ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, ქვემოთ, ამ განსაზღვრებებს მოვიყვანთ ამონიოს ერმისის ძველქართულ თარგმანებში წარმოდგენილი სახით:

1. ფილოსოფია არის არსებულთა, როგორც არსებულთა შესახებ მოძღვრება.



პროფესორი თავაზის ირაგაძე

2. ფილოსოფია არის მეცნიერება ღვთაებრივი და ადამიანური საგნების შესახებ.
3. ფილოსოფია არის ზრუნვა სიკვდილზე.
4. ფილოსოფია არის მცდელობა ღვთის მსგავსებისა, რამდენადაც ეს ადამიანს ძალუს.
5. ფილოსოფია არის ხელოვნებათა ხელოვნება და მეცნიერებათა მეცნიერება.
6. ფილოსოფია არის სიბრძნის სიყვარული.

ფილოსოფიის ეს ექვსი განსაზღვრება, რომელიც ამონიოს ერმისის ნაშრომებშია მოცემული, მოვიანებით, მთელი ალექსანდრიული ნეოპლატონიზმის (უნინარეს ყოვლისა, იოანე ფილობონისა და ელიასი) კონტექსტში ხდება მნიშვნელოვანი. სწორედ ამის გამო მოკლედ უნდა შევეხოთ V-VI საუკუნეების ალექსანდრიული ნეოპლატონიზმის კომენტარებს, რომლებიც, თავის მხრივ, პორტო-რიოსის კომენტარი ამავე ნაშრომზე - „ისაგოგე“.

ეს სკოლა, უნინარეს ყოვლისა, დაინტერესებული იყო არისტოტელეს ლოგიკით და საგანგებოდ განმარტავდა არისტოტელეს ლოგიკურ ნაშრომებს. განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა არისტოტელეს „კატეგორიები“ და პორტო-რიოსის კომენტარი ამავე ნაშრომზე - „ისაგოგე“.

გვიანი ანტიკური ხანის დიდი ალექსანდრიული კომენტატორები - ამონიოს ერმისი, ასკლეპიოსი, იოანე ფილობონისი, ოლიმპიოდორე, ელიასი და სიმპლიკოსი - ნაყოფიერ კომენტატორულ საქმიანობას ეწეოდნენ და რთული ფილოსოფიური ტექსტების კომენტირების ახალ ფორმებსა და მეთოდებს ავითარებდნენ. ისინი განსაკუთრებული გულმოდებით ეპყრობოდნენ კომენტარის შიდა სტრუქტურის საკითხებს: ამონიოსის სკოლის „ფილოსოფიური პროლოგები“ ცხადად არის სტრუქტურირებული. ამის გარდა, მათი კომენტარები ეხებოდა ასახსნელი ტექსტის არსებით საკითხებს და იმდროინდელი ფილოსოფიის აქტუალურ თემებს განიხილავდა. მათი განაზრებების მთავარი საგანი ფილოსოფიის (როგორც ფუნდა-

მენტური მეცნიერების) ბუნებისა და სტრუქტურის საკითხები იყო. ამონიოსის სკოლის კომენტატორთა „პროლოგებში“ ხშირად გვხვდება ზემოთ დასახელებული ფილოსოფიის ექვსი განსაზღვრება, რომელიც ანტიკური დროის ფილოსოფიიდან იღებს დასაბამს. ფილოსოფიის დაყოფა თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად ალექსანდრიელი მოაზროვნების (უნინარეს ყოვლისა, ისევ ამონიოს ერმისის) მხრიდან ზუსტად და საგულდაგულოდ იქნა წარმოდგენილი.

ალექსანდროული ნეოპლატონიზმის ფარგლებში განვითარებული განმარტების ტექნიკა იმდენად მაღალკვალიფიციური იყო, რომ მან მოგვიანებით ბიზანტიური ფილოსოფიის წარმომადგენლებზე იქონია გავლენა. ოთანე იტალოსი, XI საუკუნის დიდი ბიზანტიული მოაზროვნე, კარგად იცნობდა ალექსანდრიელთა მიერ შემუშავებულ ფილოსოფიური ახსნა-განმარტების ტექნიკას და იყენებდა კიდევ თავის კომენტარებში. იგი ხშირად მიმართავდა ამონიოს ერმისის ზემოთ დასახელებულ კომენტარებს არისტოტელეს „კატეგორიებზე“ და პორფირიოსის „ისაგოგეზე“.

ალექსანდროული ნეოპლატონიზმის წარმომადგენლები (განსაკუთრებით კი - ამონიოს ერმისი) შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში დიდ როლს თამაშობდნენ. ამ ტრადიციის კვალი პირდაპირ თუ ირიბად იგრძნობა იოანე პეტრინის კომენტარში. პეტრინი პირდა-

პირ ასახელებს ასკლეპიოსს. სავარაუდოა, რომ იგი იცნობდა ამონიოს ერმისის ზემოთ დასახელებულ კომენტარებსაც.

ახალი დროის ქართულ ფილოსოფიასა და თეორიების ანტიკური დროის ფილოსოფიიდან იღებს დასაბამს. ფილოსოფიის დაყოფა თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად ალექსანდრიელი მოაზროვნების (უნინარეს ყოვლისა, ისევ ამონიოს ერმისის) მხრიდან ზუსტად და საგულდაგულოდ იქნა წარმოდგენილი.

ალექსანდროული ნეოპლატონიზმის ფარგლებში განვითარებული განმარტების ტექნიკა იმდენად მაღალკვალიფიციური იყო, რომ მან მოგვიანებით ბიზანტიური ფილოსოფიის წარმომადგენლებზე იქონია გავლენა. ოთანე იტალოსი, XI საუკუნის დიდი ბიზანტიული მოაზროვნე, კარგად იცნობდა ალექსანდრიელთა მიერ შემუშავებულ ფილოსოფიური ახსნა-განმარტების ტექნიკას და იყენებდა კიდევ თავის კომენტარებში. იგი ხშირად მიმართავდა ამონიოს ერმისის ზემოთ დასახელებულ კომენტარებს არისტოტელეს „კატეგორიებზე“ და პორფირიოსის „ისაგოგეზე“.

ალექსანდროული ნეოპლატონიზმის წარმომადგენლები (განსაკუთრებით კი - ამონიოს ერმისი) შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში დიდ როლს თამაშობდნენ. ამ ტრადიციის კვალი პირდაპირ თუ ირიბად იგრძნობა იოანე პეტრინის კომენტარში. პეტრინი პირდა-

თენგიზ ირემაძე

ახალი საქართველოს
უნივერსიტეტის პროფესორი,
კავკასიური ფილოსოფიისა და თეორიების
სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორი